

# საქართველო

საქართველო დამატება

გაზეთის № 40

დამატება და განვითარება

პირა, 21 თებერვალი, 1916 წ.



ა თ ე ნ თ ა .




## დაქარგული სამოთხე

არის ქვეყნად სამოთხე ჯოჯოხეთად ქცეული,  
სიყვარულის ტაძარი შურითა დაქცეული,  
ხან წყვდიადის ფრთებითა ნათელს აქრობს სატანა  
და გაფურჩენილ სიცოცხლეს გესლით სწამლავს წყეული...  
ეს ჩემი სამშობლოა ჩემი ტურფა ქვეყანა!


არის ქვეყნად წალკოტი ცეცხლით გადარუჯული,  
შეხუთული, შეკრული, ისე როგორც უფსკრული.  
რაც ათასჯერ ქართველმა თავის სისხლით განბანა  
და მაინც დააჩნია მტერმა გულზე მას წყლული...  
ეს ჩემი სამშობლოა ჩემი ტურფა ქვეყანა!

არის ქვეყნად კეკლუცი მხარე ყვავილოვნი,  
სადაც მზეებრ მეფობდა თამარ ეთეროვანი,  
ვინც სამშობლოს მოქიშხეს გულს გაუყარა დანა,  
დღეს კი მონად ქცეულა ერთხელ სახელოვანი...  
ეს ჩემი სამშობლოა ჩემი ტურფა ქვეყანა!

დარია აზვლედიანისა.



შემოსილი მონოკაზი.



გერმანელი ჯარისკაცი.

## „მჩნავ უფალო!“

რომის ახალგაზრდა პატრიცის უყარს ნორჩი, უმშვენიერესი და ულამაზესი ქალი.

ქალი ქრისტიანია. კერპ-თაყვანის მცემელნი რომაელნი კი სასტიკად სდევნიან ქრისტიანებს და ოწამებენ იმ წამებით, რომლითაც წამებულ იქმნა თვით ქრისტე.

ამ წამებას არ ასცდა სატრფო და მოტრფიალე ქალიც.

სხვებთან ერთად ისიც დაატუსალეს და რომის სისხლის მსმელი იმპერატორის ბრძანებით ყველანი უნდა ეწამებინათ ცირკის მოედანზე.

დაინშულ დღეს რომის უზარმაზარი ცირკი ხალხით გაიჭედა.

იქ იყო იმპერატორიც, იქ იყო შეყვარებული ჭაბუკიც.

პირველი ელოდა სიხარულის განცდას, მეორე სულის წამებას.

იმპერატორი თვალს არ აშორებდა გულ-ჩამქედარ ჭაბუკს. უნდოდა დამტკბარიყო იმ ტანჯვით, რომელსაც მოახდენდა ჭაბუქზე მის მიერ გამოგონილი საზარელი სურათი.

ჭაბუკი კი იჯდა გაქვავებული სახით, უძლური, დამორჩილებული გით

სიკვდილით დასჯილი სახრჩობელას წინაშე და ვერ ჰქედავდა ცირკის დიდ მოედანს, სადაც ტყის სხვა და სხვა ნადირინი საზარელი ბრჭყალებითა და კბილებით ჰელეჯდენ გულხელ-დაკრეფილ და ზეცაში თვალებ აპყრობილ ქრისტიანთა ხორცას და საცმელს.

დამშეული მხეცნი ნეტარებით აკაწ-კაწებდნენ კბილებს. საუცხოვო სურათით დამტკბარი რომის მოქალაქენი კი ხტოლენ და იცინოდნენ.

ვერ ჰქედავდა ჭაბუკი ცირკის მოსახურეთ, რომელთაც პირ-გასისხლიანებული და ფერდებ ამომსილი მხეცნი მოედნიდან გარეკე, წამებულთა სხეულისა და ტანისამოსის ნაფლეთები აკრიბეს და სისხლით გაულენილს მოედანს ქვიშა მოაყარეს.

ჭაბუკი მხოლოდ მაშინ გამოერკევა და აღვილზე შეინძრა, როდესაც მოედანზე დაინახა, თავისი სატრფოს აღმზრდელი შესანიშნავი ლონის პატრონი მონა-მსახური.

ძალით დევ-გმირი, გულით სათონ ტან-ახოვანი მსახური მარტოდ-მარტო იდგა მუხლ-მოდრეკილი შუაგულ მოედანზე, თავის მომეთა მაგალითისა-მებრ ზეცაში ხელებ-აპყრობილი ლო-

ცულობდა და უსუსურ ბავშვივით შეუბრძოლველად ელოდა სიკედილს.

რომის იმპერატორიც შეინძრა ადგილზე. ეს იყო დასაწყისი მის მიერ მოგონილ სურათისა. ამაყად გადაავლო თვალი ხალხს და ხელცახოცი დაიქნია.

უცბად ცირკის ერთ-ერთი კარი გაილო და მოედანზე შემოიჭრა გაშმაგბული გარეული ხარი უცნაურად დატვირთული.

უზარ-მაზარ რქებზე მიბმული იყო თოკებით ტანშიშველა, ახალგაზრდა ქალი—უმშვენიერესი, უტებესი სატრფო უბედური ჭაბუკისა.

რომის იმპერატორს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რაც მოხდებოდა.

ლოცვით გატაცებული მონა-მსახური თოფ-ნაკრავივით წამოვარდა ზეზე და ხარისკენ გაექანა.

გულ-მილეული და წელებ დამტვარი ჭაბუკი ამ დროს კვნესოდა და ყრუდჩურჩულებდა:

— მრწამს, უფალო! ველი სასწაულს! მრწამს უფალო!!  
მონა-მსახური დაეწია გაშმაგბულ მხეცს, რქებზი სტაცა ხელი და დაბრივა.

იწყო სასკვდილო ბრძოლა ძალო-

გან ადამიანსა და ძალოვან მხეცს შორის.

ხალხი სიხარულით გმინავდა, ჭაბუკი კი მეასედ იმეორებდა:

— მრწამს! მრწამს!!

ბრძოლა გათავდა... მსახურმა რკინის ხელებით ხარს კისერი მოუგრიხა და რქებიდან ქალი აპგლიჯა... მაგრამ სრულ განთავისუფლებას ეს კიდევ არ ნიშნავდა. გამხეცებული რომის იმპერატორი მზად იყო წამების სურათი შეეცვალა.

მაგრამ ჭაბუკი კვლავ გაიძახოდა:

— მრწამს!

და მისი იმედი გამართლდა. მსახურის საშინელი, ზღაპრული ძალით, ქალის მშვენიერებითა და ჭაბუკის სიყვარულით მონიბლულმა ხალხმა სამიეს თავისუფლება მიანიჭა...


საგრამ... რად სწამდა ასე შეყვარებული ჭაბუკს?

რად იყო მისი რწმენა ასეთი ღრმა და შეუდრეველი?!?

რაც მოხდა, ეს ხომ მოულოდნელი რამ იყო.

ეს ხომ სასწაული იყო.

გაგლებარი, გონება-მიუწდომელი ძალა. ძალა ღვთიური.



ინგლისელები ხიდს იცავენ.

მაშ ასე ლრმად რად სწამდა რომის პატრიციი? იმიტომ, რომ მას უყვარდა. უყვარდა და სწამდა. უკანასკნელ წუთებამდი მას არ და უკარგავს იმედი. იმიტომ რომ უყვარდა. ასეთია ძალა სიყვარულისა! და.... ჩემს სატრიფოს, ჩემს ლამაზ ქვეყანას რომ ვუყერებ და მასთან ერთად ჩვენ დაბეჭიებულ, დაკნინებულ ცხოვრებას რომ ვითვალისწინებ, განვიცდი იმავე გრძნობას, რასაც განიცდიდა რომის ცირკში შეყვარებული ჭაბუკი და მეც მისებრ ვკვნესი:

— მრწამს, უფალო! ეს რწმენა ჩემს გატეხილ გულში ხახ და ხან მიყუჩდება, მიიღულება, მაგრამ არც ერთი წუთით სრულებით არ ჩამქრალა იგი. ვერ ჩაუქერია იგი ვერავითარ ქარს, წვიმას, სეტყვას, ნიალვარს. ჰლვივის იგი ჩემს გულში, როგორც ნაცარში გახვეული ნაკვერჩხალი. და როდესაც ვინმე ან რამე ოდნავ შეუბერავს, მას ნაცარი გადაეყოება, ნაკვერჩხალი ლვივდება, კვლავ ათბობს იგი ჩემს გულს და კვლავ გავიძია:

— მრწამს, უფალო, მრწამს!!

ს. ყ—ნ.

## მწყამსი დედოფალი


თსმალურიდან გადმოკეთებული ზღაპარი\*)

მეორე ღამეს კვლავ ყველამ ერთად მოიყარეს თავი, ვახშმის შემდეგ ხელ-მწიფემ უთხრა ვეზირს, ერთი ზღაპარიც სთქვიო. ბატონი ბრძანდებიო, მოახსნა ვეზირმა და დაიწყო მოთხრობა.


ერთ დროში, ერთი ძლიერ მდიდარი კაცი ისე გასაწყლდა, რომ ღამის გლახობა დაეწყო. რაღვან გლახობა

\*) იხ. დამატება № 7.


ეთაკილებოდა, ირჩია მუშაობით ურა ჩინა თავი, და თავისი ცოლშვილი. ამ გვარად დაიწყო დღიურად მუშაობა, დღეში სამ შაურს, ხან აბაზს ძლიერ ღებულობდა და იმით მიჰყავდა იო ლად ცოლი და ერთად-ერთი შეილი, ერთხელ ეს საწყალი კაცი შეხვდა ბაზარში მეჩიტეს, რომელიც იადონსა ჰყიდდა, მოინდომა ამ ტრინკელის ყიდვა. ამას ჯიბეში აბაზზედ მეტი ფული არა ჰქონდა, მეჩიტე-კი გენერალი აფასებდა იმ იადონს. საწყალმა კაცმა ხვეწნა დაუწყო, აბაზად დამითმე, მეტი ფული არა მაქვსო, მაგრამ მეჩიტე არ დასთანხმდა. ბო-



რომლის ველიდან სანიტარებს დაურილები მოჰყვით.



მეჩეთი აზრუში.



სომხეთის დანგრეული ტაქარი აზრუში.



ვლ. ალ. გეგეშვილი  
ლაიკა აზრუმის პირველ სიმაგრის  
აღების დროს.

ლოს საწყალმა კაცმა უთხრა მეჩიტეს:

— მათ, მომეცი ეს იადონი აბაზალ, ძალიან დაჩაგრული და ღატაკი ქაცი ვარ, თუმცა დიდი შეძლების პა რონი ვეყავ, მაგრამ ახლა ერთ აბაზაც ძლიერსა და გშოულობ ხოლმე და იქნება ამ ჩიტის გალობით გავიშარვო ჩემი ნალველი, ცოტა ხნობით მაინც დავივიწყო ხოლმე ჩემი შავბეჭი დღენი.

ჩიტის პატრონი ძლიერ გამოუცდელი ქაცი იყო და ასე უპასუხა:

— სტყუი! როგორ შეიძლება მდიდარი გასწყლდეს.

— მაშ შენ ის არავი არ გაგიგონია, ღმერთმა ერთი შეფეხ ისე რომ გაასაწყოდა და დაამცირა, რომ ბოლოს შენაგეობაც კი არგუნაო.

— არა, არ გამიგონია, მიამბე და აშ ჩიტს მაშინ კი მოგცემ აბაზალი, უთხრა მეჩიტემ.

გახარებულმა საწყალმა კაცმა ასე დაიწყო მოთხრობა.

— ქაცი ვინმე იყო ძლიერ მდიდარი და ძლიერი მეფე. ფსალმუნს რო კითხულობდა, ძალიან გააკირავა შემდეგმა სიტყვებმა: „უფალი აღამალლებს და უფალი დაამდაბლებს“... ყოვლად შეუძლებელია, იფიქრა მეფემ; დაიბარა თავისი სასახლის საღმრთო წერილის მასწავლებელი და ჰეითა:

— როგორ შეიძლება ჩემისთნა მეფის გალარიბება და დამდაბლება?

— ბატონი! უპასუხა მასწავლებელმა, ღმერთი ყოვლად შემძლეა, ყოვლივე ძალუძსო.

— არა! ყოვლად შეუძლებელია და რყუილია, ამიტომ ეს სტრიქინები ფსალმუნში აუცილებლად უნდა ამოიშალოს, უთხრა მეფემ.

მასწავლებელი ამ ბრძანებამ დაალონა და უთხრა: კეთილი, მოვიფიქრებო.

მეორე დღეს მეფემ მოისურვა საიდუმლოდ, ქალაქში სეირნობა, თან ეახლა ხუთი კარის კაცი და სასახლიდან გავიდა. გზაში შეხვდათ ერთი ლამაზი აბანო, მეფემ ბანაობა მოისურვა. შევიდნენ აბანოში. მეაბანოებ იცნა რომ მეფე არის და უბრძანა მოსამსახურებს თავაზიანად მოექცით, კარგად აბანეთო, იმ დროს იმავე აბანოში ღმერთმა გაგზავნა ანგელოზი გლახაკის ტანისამოსში, ზურგზე ნაგვის გოლორ წამოკიდებული. გლახაკი შევიდა აბანოში, გოლორი ერთ კუთხეში მიაგდო, გაიხადა ტანისამოსი და მივიდა აუზთან მეფის სახით, სწორედ იმ დროს, როდესაც მეფე გარედ იყო გასული. ანგელოზმა საჩაროდ იბანა, მოიმიშება სიცხისაგან გული მიღონდება და უბრძანა მსახურთ, ჩქარი ჩაეცმიათ ტანისამოსი. ბრძანება ფიცხლავ იქმნა შესრულებული. მხლებლები გაუსწორდნენ მეაბანოეს და წავიდნენ სასახლეში. გლახაკი, გამოწყობილი მეფის ტანისამოსში, ტახტზე დაჯდა და შეუდგა მეფის მოვალეობის ასრულებას. რა მოხდა აბანოში, საბრალო მეფემ არ იცოდა. როდესაც მეფე უკან დაბრუნდა, მხლებელნი იქ აღარ დაუხვდინენ. იმან დაიწყო ძახილი, ტაშის კვრა, მორთო ხმაურობა. მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, ბოლოს დალაქი ვინმე შევიდა და შეტევით ჰეითა:

ალ. იაკ. ახალციხელი.  
(შემდეგი იქნება)



გვირგვინები ძია შიოს,  
ეგებ აღარ მოემშიოს;



ლა. შლიმი -

ზარბაცების ზეიმი — ახ, რა ქარგი იქნებოდა, ერთი სამი დღე კიდევ არ გვესწავლა.

— როცა ტრაპიზონს აიღებნ, ორ კეირას ვიუქმებთ, როცა სტამბოლს — ერთ თვეს, ხოლო ბერლინს როცა აიღებნ, ჩვენ სამუდამოდ სწავლას მოესპობთ!



— იყავ თუ არა გერმანელების დასაზვერად?  
— არა, თქვენ აღმატებულებავ!  
— მაშ რად ამბობ იმათი ჯარის განწყობილება ვიციო!  
— ვიცი, თქვენ აღმატებულებავ!  
— როგორია?  
— ძალიან ცუდი!

„სატიროენ“